

1. რომელი უნდა იყოს გრანტის წარმომდგენი ორგანიზაცია?

წარმომდგენი ორგანიზაცია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების კონკურსში არ არსებობს, ეს კონკურსი ითვალისწინებს ინდივიდუალურ საგრანტო დაფინანსებას.

2. ვრცელდება თუ არა კონსულტანტზე აკადემიური ხარისხის ქონის მოთხოვნა?

დიახ, ვრცელდება

3. ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი უნდა იყოს თუ არა ორივე ენაზე?

არა, გენერალური დირექტორის 2016 წლის 7 ივლისის N 140 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების თანახმად, მუხლი 5, პუნქტი 5 ბ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია წარმოსადგენია მხოლოდ ქართულ ენაზე.

4. კონკრეტული ბანკი არის ფონდის მიერ შერჩეული, სადაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება თანხა ?

არა, ასეთი ერთი კონკრეტული ბანკი არ არსებობს

5. რა სახით უნდა მოხდეს აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა?

სკანირებული ვერსიის სახით

6. უცხოელი კონსულტანტის დიპლომის წარმოდგენა თუ არის საჭირო?

იმ შემთხვევაში, თუ კონსულტანტი არის უცხო ქვეყნის მოქალაქე, ან უცხოეთში მოღვაწე თანამემამულე, რომელთა შესახებ ინფორმაცია დასტურდება შესაბამისი ინსტიტუციის ვებ-გვერდიდან (აკად. ხარისხი და თანამდებობა) დიპლომის წარმოდგენა არასავალდებულოა.

7. აუცილებელია თუ არა დოკუმენტის თარგმანის თარჯიმანთა ბიუროს ბეჭდით დამოწმება?

დიახ.

8. სამეცნიერო მიმართულებების რომელი კლასიფიკატორით შესაძლებელია განაცხადის შემოტანა კონკურსზე?

გენერალური დირექტორის 2016 წლის 7 ივლისის N 140 ბრძანებით ამ კონკურსისათვის დამტკიცებული დანართ 12 - ის მიხედვით

9. როგორ ხდება პროექტების განხილვა? საბჭოს მიერ?

პროექტს აფასებს მინიმუმ ორი დამოუკიდებელი ექსპერტი

10. ვინ აწერს ხელს განცხადებაზე რომელიც უნდა წარსდგეს ფონდის კანცელარიაში?

განცხადებას ხელს აწერს დოქტორანტი და მისი ხელმძღვანელი

11. დოქტორანტს, რომელსაც დახურული აქვს 4 სემესტრი, რამდენ თვიანი პროექტის წარმოდგენა შეუძლია?

ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 7 ივლისის N 140 ბრძანების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, თუ სტუდენტის სტატუსი გაქვთ შეჩერებული შეგიძლიათ წარადგინოთ 12 თვიანი პროექტი

12. განაცხადის კვლევა უნდა ემთხვეოდეს თუ არა დისერტაციის თემას?

არ არის აუცილებელი ზუსტი დამთხვევა

13. ვინ შეაფასებს პროექტს, თუ სხვადასხვა მიმართულებას ეხება? არის ინტერდისციპლინარული

თუ პროექტი ინტერდისციპლინურია მას შეაფასებენ ის ექსპერტები, რომლებიც გახლავან პროექტის შესაბამისი მიმართულებების წარმომადგენლები.

14. სტუდენტის შეჩერებული სტატუსის აღდგენა რა შემთხვევაში უნდა მოხდეს?

თუ დოქტორანტს აქვს შეჩერებული სტატუსი და მან მოიპოვა დაფინანსება, საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების წინ მან უნდა გაიაქტიუროს სტუდენტის სტატუსი.

15. ვინ აფასებს პროექტს? მხოლოდ ქართველი თუ უცხოელი ექსპერტიც?

შესაძლებელია როგორც ქართველი და ისე უცხოელი ექსპერტების მიერ შეფასებაც.

16. აქტიურ მეხუთე სემესტრში მყოფს რა პერიოდით შეუძლია გრანტის მოთხოვნა?

ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 7 ივლისის N 140 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით უფლება გაქვთ წარმომადგინოთ 6 თვის ხანგრძლივობის პროექტი.

17. სჭირდება თუ არა დანართ ცხრას ბეჭედი?

არა, არ სჭირდება

18. გვერდების შეზღუდვა თუ არის?

სასურველია საპროექტო წინადადება იყოს 10 გვერდამდე.

19. თუ შეიძლება, რომ კონსულტანტი იყოს მოწვეული ლექტორი?

დიახ, თუ მას ამავედროულად უკავია აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობა, თუნდაც სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან/და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში

20. ექსპერტის შერჩევა როგორ ხდება?

სამეცნიერო მიმართულებისა და ქვე-მიმართულების, ასევე არასასურველ ექსპერტთა 9ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით.

21. შეიძლება თუ არა დანართების სახით წარმოდგენილი დოკუმენტების ფორმატის შეცვლა?

არა, არ შეიძლება

22. მიეკუთვნება თუ არა სადისერტაციო ნაშრომი პუბლიკაციას?

პუბლიკაციებში მოიაზრება სამეცნიერო სტატიები და/ან სამეცნიერო ღონისძიებებზე წარდგენილი მასალები (სტატიები)

23. პუბლიკაციასთან დაკავშირებით, საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში, ადგილობრივიც ითვლება?

თუკი ის ინდექსირებულია საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში (Google scholar, Scopus და ა.შ)

24. რა შემთხვევაში ხარვეზდება ტექნიკური ექსპერტიზის შემდგომ პროექტები და რა შემთხვევაში იხსნება?

ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 7 ივლისის N 140 ბრძანების მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად: ფონდი დაადგენს ხარვეზს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად, თუ ამავე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროექტზე დასართავი დოკუმენტაცია არასრულად ან დადგენილ მოთხოვნებთან (ვადეები, წესი, ფორმატი, და ა.შ.) შეუსაბამოდ არის წარმოდგენილი. ეს ნიშნავს, რომ ფონდი დაახარვეზებს და მოგთხოვთ აღნიშნული დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენას კონკრეტულ ვადებში, ხოლო ამავე მუხლის მე-5 „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების არასრულყოფილად, დარღვევით და ა.შ. წარმოდგენის შემთხვევაში ფონდი უფლებამოსილი იქნება პროექტი მოხსნას კონკურსიდან.

25. რამდენი უნდა იყოს პროექტის ქართულის ვერსიის შრიფტი?

იგივე რაც ინგლისურის, თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს.

26. საპროექტო წინადადებაში გამოყენებული ლიტერატურის მითითების სტანდარტი თუ არსებობს.

არა, არ არსებობს, ლიტერატურის მითითება ზოგადად ნებაყოფლობითია.

27. რა დონეზე უნდა დაკონკრეტდეს მატერიალურ ტექნიკური ბაზა (დანართი 9)?

უნდა აღწეროს თქვენი პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი საშუალებები.

28. არის თუ არა თანადაფინანსება ექსპერტისათვის მეტი ქულის დაწერის საბაზი?

შეფასების კრიტერიუმებში ეს პუნქტი ასახული არ არის, თუმცა შესაძლოა ეს ექსპერტმა გაითვალისწინოს.

29. თუ დოქტორანტს აქვს შეჩერებული სტუდენტის სტატუსი და გადადის სხვა უმაღლეს სასწავლებლის სადოქტორო პროგრამაზე, რა ცნობა უნდა მოიტანოს ასეთმა სტუდენტმა და პრობლემა შეიძლება შეექმნას ასეთ შემთხვევაში?

სტუდენტმა უნდა მოიტანოს ცნობა დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ და ცნობა იმ სასწავლებლიდან სადაც დახურა სასწავლო სემესტრი (სემესტრები). გრანტით დაფინანსების შემთხვევაში მან უნდა აღიდგინოს აქტიური სტუდენტის სტატუსი და თუ ეს უკვე იქნება სხვა უნივერსიტეტი, სავარაუდოთ დასჭირდება ცნობა ამ უნივერსიტეტიდან.

30. თუ დოქტორანტი პირველი კურსის სტუდენტია, აკადემიური მოსწრების რა საბუთებია საჭირო წარმოსადგენად?

თუ დოქტორანტს არ აქვს დახურული არცერთი სასწავლო სემესტრი, მას შეუძლია წარმოადგინოს მაგისტრატურაში სწავლების პერიოდის აკადემიური მოსწრების საბუთი.

31. შეიძლება თუ არა დისერტაციის ხელმძღვანელი იყოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი?

სამწუხაროდ, დირექტორი არის ადმინისტრაციული თანამდებობა და თუ მას ამავდროულად არ უკავია სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის, ან სხვა რომელიმე არჩევითი სამეცნიერო თანამდებობა, მაშინ ის ვერ იქნება დისერტაციის ხელმძღვანელი.

32. შეძლება თუ არა, რომ დისერტაციის თანახელმძღვანელი იყოს უცხოელი?

დიახ, შეიძლება

33. თუ სასწავლო სემესტრის დაწყება-დასრულება არ ემთხვევა პროექტის დაწყება-დასრულების თარიღს, როგორ უნდა მოხერხდეს პროექტში ამის ასახვა?

სასწავლო სემესტრის ვადები არ არის სავალდებულო დაემთხვეს პროექტის საანგარიშო პერიოდებს. საანგარიშო პერიოდი ითვლება იმ რიცხვიდან როდესაც გიფორმდებათ ხელშეკრულება და არის 6 თვიანი.

34. საჭიროა თუ არა აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთის მოტანა იმ შემთხვევაში, თუ იქნება ცნობა, რომ დისერტაციის ხელმძღვანელი უნივერსიტეტში სრული პროფესორია?

ამ შემთხვევაში, აუცილებელია რომ ცნობაში, რომელიც გაცემულია დისერტაციის ხელმძღვანელის სამუშაო ადგილიდან აღნიშნული იყოს ამ პირის აკად. ხარისხი.

35. მე-7 სემესტრის სტუდენტს აქვს თუ არა მონაწილეობის უფლება?

დიახ, აქვს მონაწილეობისა და 6 თვიანი ხანგრძლივობის პროექტის წარმოდგენის უფლება

36. მე-4 სემესტრის დამთავრებული სტუდენტი, როგორ გაივლის რეგისტრაციას, როგორც მე-4 თუ როგორც მე-5 სემესტრის სტუდენტი?

სანამ თქვენ უმაღლეს სასწავლებელში არ გაგივლიათ აკადემიური რეგისტრაცია და არ გაგიაქტიურებიათ მომდევნო სემესტრი, ითვლებით წინა სემესტრის სტუდენტათ.

37. მე-9 დანართზე შესაძლებელია თუ არა რომ ხელმძღვანელმა მოაწეროს ხელი?

მე-9 დანართზე ხელს აწერს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, შესაძლებელია სადოქტორო პროგრამის კოორდინატორმაც მოაწეროს ხელი.

38. სადისერტაციო თემის ხელმძღვანელი არ არის ჯერჯერობით ოფიციალურად საბჭოს მიერ დამტკიცებული, როგორ შემიძლია მოვიქცე?

მიმართეთ თქვენი ფაკულტეტის საბჭოს და გამოართვით ცნობა, რომ კონკრეტული პირი არის თემის ხელმძღვანელი.

39. გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა რამდენი უნდა იყოს? არის თუ არა რაოდენობა მკაცრად განსაზღვრული?

მინიმუმ ერთი, მეტი განსაზღვრება არ არსებობს.

40. შეიძლება თუ არა ერთი აქტივობა გრძელდებოდეს რამდენიმე საანგარიშო პერიოდი?

რასაკვირველია შეიძლება

- 41. თანადაფინანსების ცნობები როგორ უნდა იყოს დამოწმებული?**
თუ თანადაფინანსება არის ფიზიკური პირის მიერ, საკმარისია მისი ხელმოწერა, თუ იურიდიული პირის მიერ, მაშინ საჭიროა ხელმოწერა და ბეჭედი.
- 42. ხელმძღვანელის ხელმოწერის ნაცვლად შესაძლებელია თუ არა მისი ფაქსიმილით შეცვლა?**
შეგიძლიათ

ბიუჯეტთან დაკავშირებული შეკითხვები

- 43. არის თუ არა დაწესებული კვოტები მიმართულებების მიხედვით ან მიმართულებების დაფინანსების წესი?**
მიმართულებებისა და ქვე-მიმართულებების მიხედვით პროექტების დაფინანსების წესი და მიმართულებებს შორის თანხების გადანაწილების წესი დაიდება 1 აგვისტომდე ფონდის ვებ-გვერდზე.
- 44. საანგარიშო პერიოდი რამდენ თვიათაა?**
ერთი საანგარიშო პერიოდი არის 6 თვიათა.
- 45. სტიპენდიის მუხლში რა თანხის მოთხოვნის უფლება მაქვს ფონდიდან?**
სტიპენდიის სახით დოქტორანტმა წელიწადში შეიძლება მოითხოვოს დასაშვები წლიური ბიუჯეტის ოდენობის არაუმეტეს 50% (არაუმეტეს 10 500 ლარისა). 6 თვიათი პროექტის შემთხვევაში - არაუმეტეს 5250 ლარისა.
- 46. არის თუ არა შერჩეული კონკრეტული ბანკი ფონდის მხრიდან?**
შესაძლებელია საქართველოს ნებისმიერი ბანკის ანგარიშის წარმოდგენა ეროვნულ ვალუტაში, სადაც დოქტორანტს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა ჩაერიცხება პირად, მიზნობრივ ანგარიშზე, რომელზეც არ დაირიცხება ბანკის მიერ სარგებელი და განხორციელდება ოპერაციები მხოლოდ სასწავლო-კვლევითი გრანტის ფარგლებში.
- 47. საბანკო ანგარიში უნდა იყოს ახალი თუ ძველი ანგარიშის ნომერიც მისაღებია?**
ბანკის მიზნობრივი ანგარიში უნდა იყოს ახალი გახსნილი, რომელზეც არ დაირიცხება ბანკის მიერ სარგებელი და განხორციელდება ოპერაციები მხოლოდ სასწავლო-კვლევითი გრანტის ფარგლებში.
- 48. რა ხდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს ნაშთის დარჩენის შემთხვევაში?**
საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული გაუხარჯავი რესურსი შესაძლებელია დაიხარჯოს მომდევნო საანგარიშო პერიოდში. პროექტის დასრულების შემდეგ დარჩენილი ნაშთი უნდა დაბრუნდეს ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

49. დამხმარე პერსონალის მოთხოვნა თუ შეიძლება?

დიახ შეიძლება. აღნიშნული ხარჯი გაიწერება ბიუჯეტის მე-5 მუხლში (სასწავლო და კვლევითი პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი სხვა ხარჯები).

50. საანგარიშო პერიოდი შეადგენს 6 თვეს, თუ ერთ სასწავლო სემესტრს?

საანგარიშო პერიოდის ხანგრძლივობა 6 თვეა და არ იზომება სემესტრებით.

51. რა იგულისხმება საველე სამუშაოების ხარჯში?

აღნიშნული კატეგორია მოიცავს სამეცნიერო კვლევითი ექსპედიციის ან/და საველე სამუშაოების ფარგლებში მგზავრობის ხარჯს, ტრანსპორტის დაქირავების ხარჯებს, საწვავის შესყიდვის ხარჯებს, კვების ხარჯებს, ბინის დაქირავების ხარჯებს, ექსპედიციასთან და საველე სამუშაოებთან დაკავშირებულ სხვა აუცილებელ ხარჯებს.

52. სად შეიძლება გატარდეს ქვეყნის შიგნით მივლინების ხარჯი, რომელიც არ მიეკუთვნება საველე სამუშაოებს?

აღნიშნული ხარჯები უნდა გაიწეროს ბიუჯეტის მე-5 მუხლში (სასწავლო და კვლევითი პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი სხვა ხარჯები)

53. ბიუჯეტში უნდა იყოს თუ არა ზუსტად მითითებული საზღვარგარეთ მგზავრობის შემთხვევაში ქვეყანა, ხანგრძლივობა?

ბიუჯეტის ფორმაში არ უნდა მითითდეს კონკრეტული ქვეყნის დასახელება ან მივლინების ხანგრძლივობა.

54. სტიპენდიის პროცენტი (50%) ითვლება მოთხოვნილი, თუ მაქსიმალური წლიური შესაძლებელი თანხიდან?

მაქსიმალური წლიური დასაშვები თანხიდან.

55. შესაძლებელია თუ არა ბიუჯეტის ცხრილში სტრიქონების ჩამატება?

შესაძლებელია, ეს მითითებულია კიდეც ბიუჯეტის ექსელის ცხრილში.

56. უცხოეთში მოკლევადიანი (12 დღემდე) კვლევითი ვიზიტი ხარჯის ანაზღაურება საიდან ხდება?

12 დღემდე ხანგრძლივობის ვიზიტის შემთხვევაში, გრანტის მიმღებმა უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის #231 ბრძანებულებით დადგენილი ლიმიტებით.

57. უცხოეთში გრძელვადიანი (12 და მეტი დღის ხანგრძლივობის) კვლევითი ვიზიტი ხარჯის ანაზღაურება როგორ ხდება?

უცხოეთში გრძელვადიანი 12 და მეტი დღის ხანგრძლივობის ვიზიტის შემთხვევაში, გრანტის მიმღებმა უნდა იხელმძღვანელოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 7 ივლისის №140 ბრძანებით დამტკიცებული დანართი №13-ით. იმ შემთხვევაში, თუ უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი ვიზიტი გრძელდება არასრული თვე, ყოველთვიური დაფინანსება დაიანგარიშება ნორმებზე დაყრდნობით, პროპორციული წესის გამოყენებით.

58. საჭიროა თუ არა სტიპენდიის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა?

არ არის საჭირო

59. შეიძლება თუ არა მივლინება ჩავწერო დოლარში ან ევროში?

არა, ბიუჯეტი უნდა გაიწეროს ლარებში.

60. რომელ მუხლში უნდა ჩაიწეროს სტატიის გამოქვეყნების და თარჯიმნის ხარჯი?

აღნიშნული ხარჯები უნდა გაიწეროს ბიუჯეტის მე-5 მუხლში (სასწავლო და კვლევითი პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი სხვა ხარჯები)

61. რა ხარჯები შეიძლება ჩაიწეროს ბიუჯეტის მე-5 მუხლში (სასწავლო და კვლევითი პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი სხვა ხარჯები)?

ყველა ის ხარჯი, რომელიც ბიუჯეტის სხვა მუხლებში არ შედის, მაგრამ დაკავშირებულია სასწავლო და კვლევითი პროცესის წარმართვასთან.

62. უნდა იყოს თუა რა საანგარიშო პერიოდებში მოთხოვნილი თანხა იდენტური?

არ არის აუცილებელი

63. რამდენი რაოდენობის აქტივობა უნდა ჩატარდეს საანგარიშო პერიოდში?

რამდენსაც საჭიროებს თქვენს მიერ შესასრულებელი ამოცანა.

64. მივლინების დროს, სამგზავრო დოკუმენტის წარმოდგენა აუცილებელია თუ არა?

დიახ, აუცილებელია.

65. სხვა ქვეყნიდან, არა საქართველოდან შესაძლებელია თუ არა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაზე/უცხოეთში კვლევით ვიზიტზე წასვლის შემთხვევაში გავითვალისწინო მგზავრობის ხარჯი ევროპის ფრენებზე?

დიახ, შესაძლებელია.

66. შესაძლებელია თუ არა ბიუჯეტში ქვეყნის შიდა მივლინების დროს სასტუმროს და კვების ხარჯის გათვალისწინება?

დიახ, შესაძლებელია.

67. სად გაიწერება კონსულტანტის ანაზღაურების ხარჯი?

აღნიშნული ხარჯები უნდა გაიწეროს ბიუჯეტის მე-5 მუხლში (სასწავლო და კვლევითი პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი სხვა ხარჯები)

68. სად გაიწერება საკანცელარიო ნივთების ხარჯი?

აღნიშნული ხარჯები უნდა გაიწეროს ბიუჯეტის მე-5 მუხლში (სასწავლო და კვლევითი პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი სხვა ხარჯები)

69. 3-თვიანი მივლინების დროს თუ არის შესაძლებელი, რომ საანგარიშო პერიოდის ბოლო თვე და შემდეგი პერიოდის პირველი 2 თვე რომ გადავაბა საქართველოში დაბრუნების გარეშე?

დიახ, შესაძლებელია. ასეთ შემთხვევაში, გრანტის მიმღებს უნარჩუნდება ვალდებულება, პერიოდის დასრულების შემდგომ 15 დღის ვადაში ფონდში წარმოადგინოს შესაბამისი პროგრამული და ფინანსური ანგარიშები.

70. ექსპედიციის ფარგლებში თუ იგულისხმება სადღეღამისო ხარჯის ანაზღაურება?

არა, ექსპედიციის ხარჯი სადღეღამისო ხარჯს არ ითვალისწინებს.

71. შესაძლებელია თუ არა საგრანტო ანგარიშის ბარათიდან ონლაინ მაღაზიაში სხადასხვა საქონლის ყიდვა?

დიახ შესაძლებელია. ამ შემთხვევაში წარმოსადგენი იქნება თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი საბუთი და მაღაზიის მიერ გაცემული დოკუმენტი.

72. მეორადი ტექნიკის შექმნა თუ არის შესაძლებელი?

დიახ, შესაძლებელია.

73. თანადაფინანსებაში მხოლოდ ფულადი თანხა მოიაზრება თუ შესაძლებელია ამ მუხლში მზა პროდუქტის გაყვანაც?

თანადაფინანსება გულისხმობს მხოლოდ ფულად სახსრებს.

74. შესაძლებელია თუ არა უცხოეთში კვლევითი ვიზიტის ხარჯში გაიწეროს საარქივო ხარჯები?

დიახ, შესაძლებელია თუ ბიუჯეტის მე-4 მუხლის ხარჯებთან ერთად გექნებათ ჩამოთვლილი.

75. ბიუჯეტის რომელ მუხლში შეიძლება გავწერო ავიაბილეთის ხარჯი?

აღნიშნული ხარჯი გაიწერება ბიუჯეტის მე-3 ან მე-4 მუხლში.

76. სწავლის გადასახადი ბიუჯეტში სად უნდა აისახოს ?

აღნიშნული ხარჯი გატარდება ბიუჯეტის მე-5 მუხლში (სასწავლო და კვლევითი პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი სხვა ხარჯები)